



7037/3-98/22 2 04082022



7037/3-98/22
04-08-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

1. რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულმა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე რამდენმა პირმა მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და იუსტიციის სახლს, საქართველოში მუდმივი, ან დროებითი ბინადრობის მოწმობის მიღების თაობაზე 2022 წელს?
2. რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულმა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე რამდენ პირს მიენიჭა მუდმივი, ან დროებითი ბინადრობის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე მათ მიერ თქვენი უწყების მიმართ მოთხოვნის საფუძველზე?
3. რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე რამდენ პირს ეთქვა თქვენი უწყების მიერ უარი მუდმივი, ან დროებითი ბინადრობის მინიჭების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე?
4. რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში ჩამოსულ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე რამდენ პირს გაუუქმდა ბინადრობის მოწმობა და რა გახდა ზემოაღნიშნული პირებისთვის ბინადრობის მოწმობის გაუქმების საფუძველი?
5. რამდენი სამეწარმეო სუბიექტი დარეგისტრირდა 2022 წელს, რომლის პარტნიორიც არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე?

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი